სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
შპს ალფა პროჯექტ ჯორჯია

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
Alpha Project Georgia LTD

ს/კ 406068758 I/C 406068758

ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის №57ა, კორ. 3; ბ. 24
57a, Cholokashvili Str., Block #3, Flat#24, Tbilisi, Georgia

08. 03. 2017

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ-ზე. მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.013.102) არსებული ხუთ სართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

შპს. „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი“-ის დაკვეთით (დირ. დავით ჩერქეზიშვილი, საიდ. კოდი 400028849) ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ-ზე. მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.72.14.013.102) არსებული ხუთ სართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

არესებული ტერიტორიის ზოგადი დახასიათება:

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით გამოსაკვლევი ტერიტორია განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II;

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 85 კგძ/მ2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი). პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა განეკუთვნება II კლასს.

არსებული შენობის ზოგადი დახასიათება:

გამოსაკვლევი ხუთ სართულიანი (მათ შორის ერთი მიწისქვეშა სა ერთი ტექნიკური სართულით) შენობა (ფოტო-1;2) აშენებულია გასული საუკუნის 80-90-იან წლებში და განკუთვნილი იყო საზოგადოებრივი დანიშნულებისათვის. შენობა გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა, მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომებია 15.5 X 40.6მ. სარდაფისა და ტექნიკური სართულების სიმაღლეები შესაბამისად ტოლია H= 2.70მ. ; H= 2.90მ-ია, ხოლო დანარჩენი სართულების სიმაღლე შეადგენს H= 3.30მ.



ფოტო-1



ფოტო-2

გამოსაკვლევი შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით მზიდკედლებიანია, რომლის სივრცით სიხისტეს უზრუნველყოფს გრძივი და განივი მიმართულებით არსებული მზიდი კედლები, რომელიც შესრულებულია აგურის კომპლექსური წყობით ქვიშა-ცემენტის დუღაბზე. სართულსშორისი გადახურვები განხორციელებულია გადახურვის ღრუტანიანი ფილებით, ხოლო სახურავი რკინაბეტონის სვეტებზე და რიგელებზე მოწყობილია წიბოვანი პანელების მეშვეობით, რომელიც დაყრდნობილია რკინაბეტონის სვეტებზე და რიგელებზე (ფოტო-3). სართულებს შორის კავშირს უზრუნველყოფს ლითონის კასაურებზე მოწყობილი ბეტონის საფეხურები (ფოტო-4).



ფოტო-3



ფოტო-4

არსებული შენობა რკინაბეტონის ლენტური საძირკვლების მეშვეობით ეფუძნება ხრეშოვან გრუნტს რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: საანგარიშო წინაღობა R0=3.5 კგძ/სმ2; დეფორმაციის მოდული E=400.00 კგძ/სმ2; სიმკვრივე ρ=1.95 ტ/მ3; შეჭიდულობა C=0.01; შინაგანი ხახუნის კუთხე φ=32; პუასონის კოეფიციენტი μ=0.3

სარდაფის სართულის მზიდი კედლები განხორციელებულია ე.წ „ცოკოლის“ რკინაბეტონის 60სმ. სისქის რკინაბეტონის ბლოკებისაგან. შენობას სარდაფის გადახურვის დონეზე გააჩნია ანტისეისმური სარტყელები. ატმოსფერული ნალექების შედეგად ფასადისა და შიდა კედლებზე სავენტილაციო შახტების ზოგიერთ ადგილას შეინიშნება ლოკალური დაზიანებები.

ვიზუალური დათვალიერებით შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მას არ აღენიშნება ჯდენითი ან სხვა რაიმე ზემოქმედებით გამოწვეული დეფორმაციები. გრძივი და განივი ბზარები, რომელიც გამოწვეულია ჯდენითი და სხვა სახის ზემოქმედებისაგან.

კონსტრუქტორი /ი. ბოჭორიშვილი/

შპს “ალფა პროჯექტ ჯორჯია“
სამშენებლო ობიექტების კომპიუტერული ტექნოლოგიებით პროექტირების საინჟინრო ცენტრი
მობ. 599 74 44 80; e-Mail: Themo_ge@yahoo.de